K 8911 / 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 10, 1951

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკად დაგებულია სხვადასხვა ზომის სწორკუთხოვანი ფილები, რომელთა სისქე 20 სმ აღწევს. იმისათვის, რომ ფილები უფრო მჭიდროდ ყოფილიყო დაწყობილი, მიწაზე წინასწარ მოყრილია ღორღი და ქვიშა.

ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლები (რომლებიც თითქმის უშუალოდ ეხება გალავანს), შიდაპირისაგან განსხვავებით, უსწორმასწოროდ ნაწყობი ქვებითაა ამოყვანილი.

აკლდამის აღმოსავლეთის ფასადი შემოსილია მოყვითალო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის თლილი კვადრებით. ეს კედელი დგას დაბალ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე და ზემოთ თავდება ფრონტონით, რომელიც დაგვირგვინებულია მარტივი, მოხდენილი პროფილის მქონე ლავგარდნით. ფასადს ნაპირები უსწორმასწორო აქვს, ვინაიდან გვერდის კედლები ფრონტონის მიმართულებით თანდათან, საფეხურთა სახით ვიწროვდება. შუაში არის კარი, რომელსაც დაბალი ზღურბლი და მკაფიო-პროფილიანი საპირე აქვს. კარში მჭიდროდ იყო გაჭედილი დიდი (1,03×0,68×0,20 მ) სწორკუთხოვანი ლოდი, გამოჭრილი კირქვიანი ქვიშაქვისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ფასადის კვადრები გულდასმითაა ერთიმეორეზე მორგებული, აქაიქ სიმწყობრე დარღვეულია (ჩამოტეხილი კუთხეები, მეტად ფართო ნაწიბურები) და ასეთი ადგილები კირითაა ამოლესილი. კარს აქეთ-იქით წყობაში ჩასს რკალსებრი ნაკერები, რომლებიც შეესაბამებიან კამარის მოხაზულობას. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ფრონტონის ლავგარდანთა დაძაგრების ხერხი: ორივე მხარეზე ქვედა კუთხე და ფრონტონის ტიმპანის ქვეშ მდებარე კვადრი ერთისა და იმავე დიდი ქვისგანაა გამოჭრილი, ასე რომ ეს კუთხის ქვები გვერდიდან ამაგრებენ ფრონტონის შუა ნაწილს.

პერანგის ქვებს ემჩნევა ქვისმთლელის ხუთი სხვადასხვაგვარი ხელსაწყოს კვალი. ეს უნდა იყოს ცულის, წალატის, საათლელის, სარანდელისა და კბილანებიანი კეკოს ტიპის იარაღები.

აკლდამის ორკალთიანი სახურავი დახურულია ორი სახის დიდრონი კრამიტით. სახურავის მთელ ზედაპირს ფარავს ფართო და ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ხოლო მათ ნაწიბურებს უფრო ვიწრო, ღარისებრი კრამიტები. ასეთი კრამიტი ძალზე გავრცელებულია ძველი მცხეთის ნაგებობათა შორის [1].

სახურავი ყოველ მხარეს დიდად სცილდება კედლებს. ზედ აკლდამაზე კრამიტები უშუალოდ კირის თხელ ფენაზე აწყვია ქვის კამარის კალთებზე. კედლებს გარეთ კი ისეთი დანდობილი ყოფილა ხის ლარტყებზე, რომელთა ზედა ბოლოები, ჩანს, აკლდამის კიდეზე იდო, ხოლო ქვედა — აკლდამის გრძივი კედლების გასწვრივ ამოყვანილ ყორე-კედლებზე.

კრამიტი, ისევე როგორც საერთოდ მცხეთის ძველი კრამიტი, კარგად გამომწვარი და წითლად შეღებილია. თითქმის ყველას აქვს ხელოსნის ნიშნები. საყურადღებოა, რომ ყველა ბრტყელ კრამიტზე ერთი და იგივე ნიშანია გამოყვანილი, ხოლო ღარისებრ კრამიტებზე — შვიდნაირი.

ძნელია გადაჭრით პასუხის გაცემა ერთ საკითხზე: თავის დროზე ამ აკლდამას თავზე მიწა ეყარა, თუ იგი ჩანდა მიწის ზედაპირზე, თუნდაც ნაწილობრივ?

პირველ ვარაუდს მხარს უჭერს რამდენიმე გარემობა: ქვაბული არ შეჰფერის მიწისზედა მავზოლეუმს; გალავნის კარი ამოკოლილია; ფასადის პერანგის კვადრები ყოველთვის არაა საკმაოდ ბეჯითად თლილი; გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იატაკის დონეზე აღმოჩნდა ცხენის მთლიანი ჩონჩხი; თხრისას ჩანდა, რომ აკლდამის ირგვლივ მიწა ხელოვნურად უნდა ყოფილიყო დაყრილი; არ აღმოჩენილა არავითარი წარწერა, ხოლო (მცხეთის ძეგლთა შესწავლით მიღებული გამოცდილების მიხედვით) წარჩინებული პირების სამარხთა წარწერები ზედ დაყრილ მიწაზე აღმართულ სტელებზე იყო ხოლმე და არა თვით სამარხ ნაგებობებზე, რაკი ეს უკანასკნელები არ ჩანდა. დასასრულ, შეგვიძლია გავიხსენოთ ცნობილი რუსი არქეოლოგის ბ. ფარმაკოვსკის აზრი, რომ „სამარხის მიწით დაფარვა უფრო უზრუნველყოფდა ნეშტისა და მისთვის დაკრძალვისას მიძღვნილი საგნების ხელუხლებლობას და თან უფრო შეეფერებოდა მიცვლილების მიწაში დაფლვის იდეას“ ([2], გვ. 19).

მეორე მხრივ, კრამიტის სახურავი თითქოს არ უნდა დაფარულიყო მიწით. ამას ისიც მოწმობს, რომ კამარის ქუსლის დონეზე აღმოჩნდა სახურავიდან გადმოყრილი თუ გადმოცვენილი რამდენიმე კრამიტი, ე. ი. ერთ დროს მაინც სახურავს მიწა არ ეყარა. სახურავის ზოგიერთ კრამიტს აშკარად ეტყობა ქვის დარტყმის კვალი და შეიძლება ეს ქვები ფერდობიდან ეცემოდა ზიშველ სახურავს.

აკლდამის ფასადის თავზე კრამიტები 70 სმ მანძილზე იყო სამ წყებად წინ გამოწვდილი. ეს სამი წყება ან ჩაყრილ მიწაზე იქნებოდა დანდობილი, ან არა და საამისოდ ხის საყრდენი იქნებოდა აშენებული, წინკარივით. შეიძლება სწორედ ამ მიზნით ჰქონდეს ფრონტონს გაკეთებული გამონაშვერი ლავგარდნის თავზე.

მართალია, საქართველოში ამგვარი სამარხი ნაგებობა დღემდე მთელი არსად შეგვხვედრია, მაგრამ სხვაგან ელინისტურ ხანაში საკმაოდ ხშირია აკლდამები, რომლებსაც ფასადი ან სულ ღია აქვთ, ან ისინი ნაწილობრივაა ჩადგმული მიწაში. ასეთია, მაგალითად, ბოსფორის ზოგი აკლდამა, თრაკიის ყორღანთა აკლდამები და, ბოლოს, მცირე აზიის, კლდეში გამოკვეთილი აკლდამები ([3], გვ. 47, 110).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ შეიძლება უეჭველად მივიჩნიოთ მხოლოდ ის, რომ აკლდამას მიწა დაყრილი ჰქონია სამი მხრიდან (სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან) — კამარის ტუსლის ან, უფრო სწორედ, კრამიტის სახურავის დონემდე. ამ სამ მხარეზე გამოჩნდა მიწაში აკლდამის აგებაზე მომუშავე ქვისმთლელთა მიერ გადაყრილი ნატეხები. მიწა ფარავდა ავრეთვე ფასადის ნაპირებს, რომელთაც საფეხურისებური პროფილი ჰქონდათ დატოვებული — ეტყობა, იმ ვარაუდით, რომ ისინი არ გამოჩნდებოდა.



ახლად აღმოჩენილ აკლდამას მოეპოვება ზოგიერთი ანალოგია შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე, მცირე აზიაში და აღმოსავლეთ ევროპაში (იხ. მაგ. [3], გვ. 110, (4), გვ. 294, (5), გვ. 26).

მცხეთის აკლდამის ზოგიერთი ნიშანი წარმოდგენილია, კერძოდ, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროთა ელინისტურ აკლდამებშიც. ასე, მაგალითად, ანაპის აკლდამაში ([3], გვ. 83, ტაბ. XXIX—XXX) ვხედავთ ასეთივე კონსტრუქციის კამარას, ფილათა წყობას და კედლების შემოსვას კვადრებით. ტარასოვსკაიას აკლდამებს ([3], გვ. 110, ტაბ. XXXV—XXXVI) ღია, დორიული

ფრონტონის მქონე ფასადები, საფეხურისებრი კედლები და ქვის პერანგები აქვთ. ვასიურინსკაია გორას აკლდამას ([3], ტაბ. XII) აგრეთვე საფეხურებისებრივ გაფორმებული ფასადი და ნახევარწრიული კამარა აქვს.

ჩვენი აკლდამა, მიუხედავად ზოგი არსებითი სხვაობისა, უახლოვდება აგრეთვე ოლვიის სამარხ ნაგებობებს (ახ. წ. II—III ს. ს.). მაგალითად, „ევრესიბიოსისა და არეტეს“ აკლდამის კამარა ქვის წყობითა და კონსტრუქციით ზედმიწევნით ჰგავს მის კამარას ([6], ტაბ. IV—VI). „ზევსის ყორღანის“ აკლდამას მცხეთისა მოგვაგონებს კამარის წყობითა და კედლების შიდა პერანგით ([2], გვ. 17—28).

კიდევ უფრო ჰგავს მცხეთის აკლდამა გეგმით, კომპოზიციითა და მშენებლობის ტექნიკით ქერჩის ცნობილს „დემეტრას აკლდამას“, რომელიც აგებულია ახ. წ. I საუკუნის I ნახევარში — ყორღანქვეშა აკლდამებისაგან განსხვავებით, ბუნებრივ მაღლობში ([3], გვ. 199; (5), გვ. 382).

მაგრამ ჩვენს აკლდამას უახლოესი ანალოგიები, ბუნებრივად, საქართველოშივე მოეძებნება. ბაგინეთის აკლდამას, რომელიც ახ. წ. II საუკუნეს მიეკუთვნება [7], ასეთივე გეგმა, კედლების პერანგი და ფრონტონის პროფილიანი ლავგარდანი აქვს და ამრიგად საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ეს ორივე ძეგლი დაახლოებით ერთსა და იმავე ხანაშია აშენებული. ამასვე ადასტურებს სრული იგივეობა ამ ორი ნაგებობის კრამიტებზე ამოჭრილი ნიშნებისა. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე არმაზციხის (ბაგინეთის) გალავნის პერანგისა და ჩვენი აკლდამის პერანგის ქვების წყობის სრული მსგავსება (არმაზციხის ეს გალავანი, ი რ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ახ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნება).

ამრიგად, მცხეთის აკლდამის არქიტექტურა და ზემოთ განხილულ ძეგლებთან მისი შედარება საფუძველს გვაძლევს იგი ახ. წ. I და II საუკუნეთა მიჯნას მივაკუთვნოთ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, შიგ აღმოჩენილი ნივთების ხნოვანებაც მხარს უჭერს ასეთ დათარიღებას.

მცხეთის აკლდამა ანტიკურ ძეგლთა წრეში ექცევა. მის არქიტექტურულ ფორმებს გეზი უჭირავთ ელინისტური ხუროთმოძღვრებისაკენ, რომელიც წინა აზიის ყველა ქვეყანაში იყო გავრცელებული.

მაგრამ უსათუოდ ხაზი უნდა გაესვას ამ ძეგლის თავისთავადობის მომასწავებელ ზოგ მხარეს. ფასადი აქ ორიგინალურადაა გამოყვანილი და მას მახლობელი პარალელები არ მოეპოვება. ფასადის დამაგვირგვინებელი ფრონტონი ორი დაქანებული ლავგარდნისაგან შედგება და არა აქვს ჰორიზონტული ლავგარდანი. ასეთი რამ, როგორც ცნობილია, ბერძნულ-რომაული ხუროთმოძღვრებისათვის იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. პირიქით, ამგვარი ფრონტონი ფართოდაა გავრცელებული ფეოდალური საქართველოს ხუროთმოძღვრებაში. იგივე შეიძლება ითქვას იმის შესახებ, რომ ფრონტონის ფუძე კამარის თხემის დონეზე უფრო დაბლა პდებარეობს (1. კედლების ქვები არაა მწყობრად და კლასიკური

(1 ასეთი ხერხი ყურადღებას იქცევს უფლისციხეშიც ([8], გვ. 122).

ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი მკაცრი სისტემით დალაგებული: ოსტატს აქ გაბედულად დაურღვევია ფენათა ჰორიზონტალობა და ისე დაუწყვია თლილი ქვები, როგორც მათი მოყვანილობა უკარნახებდა. სწორედ ეს ახასიათებს ქართულ ხუროთმოძღვრებას. გარდა ამისა, მცხეთის აკლდამას არ გააჩნია რომაული თუ ბოსფორული ძეგლებისათვის ჩვეული ნიშნები. მაგალითად, აქ არ არის სენაკში „დამაგვირგვინებელი ლავგარდანი, რომელიც ესოდენ ახასიათებს რომაული დროის აკლდამებს“ ([3], გვ. 275) და რომელიც კედლებს კამარისაგან გამოყოფს ხოლმე.

აქვე უნდა გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა (რომელსაც ახლა ახალი, კიდევ უფრო ცოცხალი შინაარსი ენიჭება) იმის შესახებ, რომ იბერიაში ყოფილა ხუროთმოძღვრების წესებისამებრ აგებული და კრამიტით დახურული შენობები ([9], გვ. 217). ცხადია, რომ ამ სიტყვებში ვერ ვიგულისხმებთ რომაული ხუროთმოძღვრების „წესებს“, რომელთა გავლენა სტრაბონის დროისათვის ჯერ კიდევ ვერ იჩენდა თავს (შდრ. [10]).

აღნიშნული მომენტები მოწმობს ჩვენებური ოსტატების შემოქმედებითს დამოუკიდებლობას. ჩვენ წინაშეა მკაფიო მაგალითი იმისა, თუ ძველი ქართული ხელოვნება, ელინისტური კულტურის ტრადიციებით გამდიდრებული, როგორ განაგრძობს განვითარებას და თან თავისთავადობას არ კარგავს.

აკლდამა, როგორც უკვე ითქვა, მშვენივრადაა შემონახული. მაგრამ ჯერ კიდევ მისი გათხრის დაწყებამდე ცხადი შეიქნა, რომ იგი გაძარცული ყოფილა. მძარცველებს კამარა ჩაუტეხიათ (45×60 სმ ფართობზე, აღმოსავლეთით, ზედ ფრონტონთან) და ისე ჩასულან აკლდამაში, ასე რომ სამარხში თითქოს საყურადღებო აღარაფერი უნდა აღმოჩენილიყო. მაგრამ ბიწის გათხრა-გამოცრის შედეგად გამოვლინებულ იქნა მრავალფეროვანი და უთუოდ მდიდრული ინვენტარისაგან შემორჩენილი ბევრი ნივთი.

ადამიანის ძვლები ცუდად დაცული და ძლიერ არეულ-დარეული იყო, რის გამოც ძნელია დაკრძალულთ გვამის მდებარეობა-დამხრობის შესახებ მსჯელობა. ისიც ითქმის, რომ თაკისკალა სამარხის დასავლეთ ნაწილში იყო. სრულწლოვანი ადამიანის ძვლებს გარდა ბავშვის ძვალთა ნამტვრევებიც აღმოჩნდა.

ეტყობა, მიცვალებული სარეცელზე ყოფილა დასვენებული. ამას გვაფიქრებინებს: დიდრონი, კარგად შენახული, დახვრეტილი ფიქრები და მათთან დაკავშირებული რკინის სალტეები, ბრინჯაოს საკეტები, ორნამენტული ნაწილები (მათ შორის ჭვირული), ლურსმნები და სხ. მდიდრული დასაკრძალავი სარეცლის ნაშთები (ვერცხლით გარშემოკედილი ფეხები) აღმოჩენილია ბორის სამარხებში [11], არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის სამ სამარხში [12] და ბაგინეთის სარკოფაგში.

მრავლად აღმოჩნდა ნაირნაირი ჭურჭლეული. ვერცხლის ჯამებისა თუ პინაკებისა წვრილ-წვრილი ნატეხებიღა შემოგვრჩა. მთელია მხოლოდ ერთი პატარა ლამბაქი, რომელიც, ჩანს, პირსაფარეშო საგნებს განეკუთვნება. იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს ზღვის ორ ნიჟარას. ერთი ასეთი ნიჟარა აღმოჩენილია სამთავროს I—III ს. ს. მდიდრულ სამარხშიც (1940 წ. სამხრეთი უბნის სამარხი № 212). მინის ჭურჭელი წარმოდგენილია მშვენივრად ნაკეთები, ბუჭი იისფერი ორი თეფშისა და ერთი ბაწია ფიალის და აგრეთვე თხუთმეტიოდე სხვადასხვაგვარი, დიდ-პატარა სანელსაცხებლის სხით. ასეთი სანელსაცხებლეები ჩვეულებრივია ბორისა და მცხეთის ახ. წ. I—III ს. ს. სამარხების ინვენტარში [11, 12], მინის ამგვარი თეფშები და ფიალა კი პირველად გვხვდება ჩვენში. აღნიშნული დროის მდიდრულ სამარხებთან შედარებით უჩვეულო ელემენტია თიხის ჭურჭელი, რომელიც აქ წარმოდგენილია რამდენიმე წითლად გამომწვარი ჯამითა და ჭრაქით. აგრეთვე უჩვეულოა ის გარემოება, რომ ჩვენს აკლდამაში აღმოჩნდა მსხვილფეხა პირუტყვის ძვლები. მიცვალებულისათვის ხორცის ჩატანება აქ არქაულ გადმონაშთად უნდა ჩაითვალოს: დღემდე ამ წესს მცხეთის სამარხებში ვხედავდით არა უგვიანეს ძვ. წ. V—IV საუკუნეებისა.

ინვენტარის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს შეადგენს სამკაული, რომელთა შორის არცთუ ცოტა შემორჩენილა ოქროსი. ამ უკანასკნელთაგან ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი მასიური ამბინდა, რომელიც წითელი თვლებით მოოქვილი და გავარსით დამშვენებულია. მიწიდან გამოიკრიბა და გამოიცრა ათეულობით ოქროს მძივი, საკიდი და ქსოვილზე დასაკერებელი კილიტა. ეს უკანასკნელნი ზედმიწევნით მოგვაგონებენ არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის ზოგიერთ სამარხში და აგრეთვე ბაგინეთის სარკოფაგში (ახ. წ. II—III ს. ს.) მრავლად აღმოჩენილ კილიტებს. ისინი ითვლება მდიდრული წამოსასხამის ან გადასაფარის სამკაულად. ძალიან ბევრი ეყარა სამარხში ძვირფასი თუ ნახევრად ძვირფასი ქვებისა და მინის თვლები (ერთი მათგანი წარმოადგენს ფაქიზ ვემას დელფინის გამოსახულებით). თუ გავიხსენებთ არმაზისხევის მე-6 სამარხს, სადაც აგრეთვე მიმობნეული იყო ნაირნაირი თვლები, მიუხედავად იმისა, რომ ოქროს რთული სამკაული ყველა თავის ადგილას იყო და დაუზიანებელი, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თვლები დამოუკიდებელ საგანთა სახით ჩაუტანებიათ მიცვალებულისათვის. მრავლად აღმოჩნდა აკლდამაში აგრეთვე ნაირნაირი მძივები, მცხეთის ახ. წ. I—III ს. ს. სამარხებისათვის დამახასიათებელი ტიპისა. ყურადღებას იქცევს რამდენიმე საკიდი ავგაროზი (ლომის და ფრინველთა გამოსახულებანი).

სრულიად განსაკუთრებულია ამ ინვენტარში ერთი საგანი. ეს არის ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ლრუ ქანდაკება, რომელიც გამოხატავს შიშველ ჭაბუკს, წელს ზევით. იგი, ეტყობა, რაღაც საგანზე წამოცმული და სამსჭვალით დამაგრებულიც ყოფილა. ჭაბუკს უწყვერულვაშო პირისახე, ტალღოვანი თმა და ძლიერ გრძელი, წვეტიანი ყურები აქვს. ხელები ისე უჭირავს, თითქოს სალამურს უკრავსო. ქანდაკება საგანგებოდაა შესასწავლი. საქართველოს არქეოლოგიისათვის იგი შეიძლება უნიკალურ საგნად ჩაითვალოს.

აკლდამის ინვენტარის დიდი თავისებურებაა აგრეთვე მონეტების მრავალრიცხოვანება. აღმოჩენილია 54 ვერცხლისა და 9 ოქროს ფული[1]. ერთიც ოქროს მონეტის მსგავსი ფირფიტაა, რომელიც პირობით მონეტის ნამზადად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ ცხრიდან 5 ოქროს მონეტა წარმოადგენს ჩვენში მოჭრილ ფულს, ე. წ. „ოქროს კოლხურს“ [13]. დანარჩენი 4 რომაული აურეუსებია: ტიბერიუსისა (14—37 წ. წ.), ნერონისა (54—68 წ. წ.), ვიტელიუსისა (69 წ.) და ვესპასიანესი (69—79 წ. წ.). ვერცხლის ფულის უმეტესობას წარმოადგენს პართული დრაქმები; 47 ცალი ეკუთვნის ოროდ I (54—37 წ. წ.), ხოლო თითო-თითო — არტაბანს (88—77), სინეტრუქს (77—70), ფრაატ III (70—57) და ფრაატ IV (37—2), არის ავგუსტეს 3 დენარი და ორიოდე ბოსფორული მონეტაც. როგორც ვხედავთ, ძეგლის ხნოვანების დასაზუსტებლად ყველაზე მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ვესპასიანეს აურეუსს. მისი მიხედვით, სამარხის ინვენტარი ვერ დათარიღდება ახ. წ. I საუკუნის 70-იან წლებზე ადრინდელი დროით.

მონეტები, ინვენტარის საერთო იერი და მისი არქაულობის ზოგი ნიშანი (არმაზისხევის ერისთავთა სამარხებისა და ბაგინეთის სარკოფაგის ინვენტართან შედარებით) და აგრეთვე თვით აკლდამის არქიტექტურა, ერთობლივ, უფლებას გვაძლევს აკლდამის აგება ახ. წ. I საუკუნის ბოლოთი დავათარიღოთ.

მცხეთის აკლდამა არის ფრიად შეძლებული ადამიანის ტიპობრივი სამარხი. ინვენტარის შედგენილობა (პირსაფარეშო საგნები, იარაღის უქონლობა და სხ.) გვაფიქრებინებს, რომ აქ დაკრძალული უნდა იყოს ქალი—ისევე, როგორც არმაზისხევის №№ 2, 6 და 7 სამარხებში (ერისთავთა ცოლები და ასულები [12], ბაგინეთის სარკოფაგში (ა. აფაქიძის აზრით, მეფის ასული) და სამთავროს სამხრეთი უბნის 212-ე სამარხში. მით უფრო ბუნებრი-

[1] მონეტები განსაზღვრა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგემ დ. კაპანაძემ.

ვია სრულწლოვანთან ერთად ბავშვის ძვლების აღმოჩენაც (შდრ. არმაზისხევის სამარხები №№ 2, 6).

თვით აკლდამა, ჩანს, აგებულია საცხოვრებელ და უფრო კი საკულტო ნაგებობათა მიბაძვით. აკლდამის ეზოს კუთხეში ცხენის დამარხვის ფაქტი მოწმობს, რომ უფრო ადრე დამოწმებული ჩვეულება წარჩინებულ მიცვალებულთათვის მსხვერპლად ცხენის შეწირვისა ([3], გვ. 64, (4), გვ. 372; მოგვიანებითაც არ მოშლილა. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი საქართველოს არქეოლოგიიდან, რომლებიც უეჭველყოფს ამ ჩვეულების ჩვენში ძველთაგანვე გავრცელებულობას (იხ., მაგ.: [14], გვ. 47; (15), (14), გვ. 34—41, (8), ტაბ. 30—32). ოღონდ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, აქ მითითებული შემთხვევებისაგან განსხვავებით, მცხეთის აკლდამის ეზოში დამარხული ცხენი უბელო ყოფილა, ე. ი. ისეთი, როგორიც ბორისა და არმაზისხევის პინაკებზეა გამოსახული, ეს, მეორე მხრივ, მოგვაგონებს საქართველოს მთიანეთში XX საუკუნემდე შემორჩენილ წესს: მიცვალებულის გასაპატიოსნებლად მისი დამარხვის დღეს უბელო ცხენს მანამ აჭენებდნენ, სანამ გული გაუსკდებოდა და ამრიგად „გაატანდნენ“ ხოლმე ძალ მიცვალებულს „საიქიოში“.

მიცვალებულის სარეცელზე დასვენება, მდიდრული ინვენტარის შედგენილობა, ხორცის ჩატანების ფაქტი და ზოგიც სხვა მომენტი ღირებულსა და ნაწილობრივ ახალ მასალას გვაძლევს საიმისოდ, რომ ვიმსჯელოთ ძველი იბერიელების შეხედულებაზე „საიქიო ცხოვრების“ შესახებ და დაკრძალვის წესჩვეულებაზე, რომელიც, ჩანს, რამდენადმე განსხვავდება მომდევნო (II—III) საუკუნეთა სამარხებში დამოწმებული წეს-ჩვეულებისაგან.

რაც შეეხება თვით სამარხ ნაგებობას, არმაზისხევსა და ბაგინეთში გათხრილი წარჩინებულთა სამარხებისაგან იგი აშკარად გამოირჩევა, როგორც გაცილებით უფრო მონუმენტური შენობა.

ბაგინეთშივე აღმოჩენილი, ჩვენი აკლდამის მსგავსი და პირობით მეფის მავზოლეუმად მიჩნეული ნაგებობის ნაშთები ([7], გვ. 193) ძველი ქართლის მეფეთა ადგილსამყოფელ დედაციხეშია. ახალი აკლდამის აღმოჩენის შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირას გვაქვს უკვე სამი ცალკეული პუნქტი, სადაც ახ. წ. I—III საუკუნეთა კუთვნილი, უაღრესად მდიდრული სამარხებია მიკვლეული. შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ მცხეთის სადგურთან მდებარე აკლდამა ეკუთვნის ქართლის მმართველთა წრის წარმომადგენელს, რომელსაც დაახლოვებით 1 საუკუნით უფრო ადრე უცხოვრია, ვიდრე არმაზისხევის სამარხებში და ბაგინეთის სარკოფაგში დაკრძალულთ. მის ვინაობას კონკრეტულად არაფერი მიგვითითებს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ, მაგალითად, ან სხვა, უფრო მაღალი რანგის ერისთავების სასაფლაოა, ან იმ ეზოსმოძღვართა დინასტიისა, რომელთა არსებობა „არმაზის ბილინგვის“ აღმოჩენისა და წაკითხვის შემდეგ შეიქნა ჩვენთვის ცნობილი [16].

ახალაღმოჩენილი აკლდამის მნიშვნელობა იმით როდი ამოიწურება, რომ ის ავსებს დიდ ხარვეზს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. იგი წინა-

ფეოდალური ხანის საქართველოს კულტურისა და ანტიკური კულტურის ძვირფასი ძეგლია და ახალ მასალას გვაწვდის ძველი საქართველოს თავისთავადი ინტენსიური კულტურული ცხოვრების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი.

(რედაქციას მოუვიდა 18. 9. 1951)

## დამოწმებული ლიტერატურა

1. ი. ციციშვილი. მცხეთის ანტიკური კრამიტის შესწავლისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 8, 1948.
2. Б. В. Фармаковский. Раскопки в Ольвии в 1902—1903 годах. Известия имп. археологической комиссии, вып. 13, 1906, СПБ.
3. М. Ростовцев. Античная декоративная живопись на юге России. 1914, СПБ.
4. В. Ф. Гайдукевич. Боспорское царство. М.—Л., 1949.
5. С. А. Кауфман. Памятники этрусской архитектуры. Всеобщая история архитектуры, т. II, кн. 2. 1948, Москва.
6. Б. В. Фармаковский. Склеп Еврисивия и Ареты в Ольвии. Изв. имп. арх. ком., вып. 3, 1902, СПБ.
7. ი. ციციშვილი. ანტიკური დროის აკლდამა ბაგინეთში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 3, 1950.
8. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, 1944, თბილისი.
9. В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. Вестник древней истории, № 4, 1947.
10. Н. А. Бердзенишвили и Г. А. Ломтатидзе. Новые раскопки в Мцхета газ. „Заря Востока", № 183, 1951.
11. Е. Придик. Новые кавказские клады. Материалы по археологии России, вып. 34. СПБ, 1914.
12. გ. ლომთათიძე. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. თბილისი, 1945.
13. Д. Г. Капанадзе. О древнейших золотых монетах Грузии. Вестник древней истории, № 3, 1949.
14. Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, I, Опыт периодизации памятников. 1941, Тбилиси.
15. Я. И. Смирнов. Ахалгорийский клад. Тбилиси, 1934.
16. გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა. „ენიმკის" მოამბე ტ. XIII, თბილისი, 1943.

K 8977/2